მიწა, როგორც „გზა ხსნისა“

ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები მრავალმხრივ საინტერესოა. ერთ–ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, არის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართული მიწის გასხვისება. როგორც ცნობილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის მიერ 2013 წლის საგაზაფხულო სესიაზე მიღებული კანონი, რომლის საფუძველზეც, უცხოელებსა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში დაფუძნებულ იურიდიულ პირებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების მოპოვების უფლება შეუჩერდათ, არაკონსტიტუციურად ცნო.

საინტერესოა საკითხი – რა განსაკუთრებულობით ხასიათდება მიწის რესურსი და როგორია მის მიმართ არსებული მიდგომები.

მიწის რესურსებს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ადამიანის ცხოვრებაში. მიწაზე ზემოქმედებისას ადამიანი იყენებს მის ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ თვისებებს.

მიწას (მიწის რესურსს) განსაკუთრებული სიფრთხილით განიხილავს წმინდა წერილი. ადამიანი ედემის ბაღიდან გამოაძევა უფალმა მიწის დასამუშავებლად, საიდანაც თვითონ შეიქმნა. ეს შრომა პრინციპულად განსხვავდებოდა ედემის ბაღში შრომისაგან. მიწა დაიწყევლა ადამიანის გამო და მას ტანჯვა–წვალება მოუტანა. მისი მოკვდავი სხეული კი მიწას დაემორჩილა: „და ადამს უთხრა: „რაკი შენს დედაკაცს დაუჯერე და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამაც მე აგიკრძალე, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით ღებულობდე მისგან საზრდოს მთელი შენი სიცოცხლე! და ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს მან და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო! პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი!“ (დაბ. 3:17–19).

წმინდა წერილში ფორმულირებულია კერძო საკუთრების პრინციპი, თუმცა ამ პრინციპის გაგება უფრო მოცულობითია, ვიდრე საკუთრების შესაბამისი ეკონომიკური და სამართლებრივი გაგება. უპირველესად გასათვალისწინებელია, რომ სულიერი აღქმა და „გაზომვა“ ბევრ ეკონომიკურ ცნებას ფარდობითად აქცევს. სულიერი ასპექტით საკუთრებას სპეციფიური მიდგომა ესაჭიროება, რაც უპირველესად მიწის რესურსს უკავშირდება. ღმერთმა შექმნა მიწა და უბოძა იგი ადამიანებს რათა დაუფლებოდნენ და ეპატრონათ მისთვის (დაბ. 1:28). „აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეებს – ადამიანის მსახურებისთვის, რათა გამოიღოს საკვები მიწიდან“ (ფს. 103:14).

ამასთან, მიწა უპირველესად ღმერთისაა: „უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მკვიდრნი მისნი“ (ფს. 23.1) და მიწისადმი განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ: „მიწა არ გაიყიდოს სამუდამოდ, რადგან მიწა ჩემია. თქვენ ხომ ჩემი ხიზნები ხართ. თქვენს სამკვიდრებელ მიწაზე მიწის გამოსყიდვის ნება დართეთ. თუ გაღარიბდება შენი ძმა და გაყიდის თავის სამკვიდრებელს, მივიდეს მისი ახლო ნათესავი მასთან და გამოისყიდოს მისი ძმის მიერ გაყიდული. თუ მას გამომსყიდველი არა ჰყავს, მაგრამ შემდეგ მიეცემა შესაძლებლობა და თვით ჰპოვებს გამოსყიდვის საშუალებას, გამოითვალოს გაყიდვიდან გასული წლები და დაუბრუნოს ნამეტი იმას, ვისაც მიჰყიდა, და თავისი სამკვიდრებელი ჩაიბაროს.“ (ლევ. 23:27).

ამასთან, მიწიერ ცხოვრებაში „კერძო საკუთრება“ განისაზღვრება საკუთრებისადმი ჩვეულებრივი, ასევე მიწიერი მიდგომით. საღვთო გაგებით, საკუთრებაზე უფლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ღვთისაგან ბოძებული სიმდიდრის გარკვეულ ნაწილზე ადამიანთა მართვის დაშვება განსაზღვრული პერიოდით.

მიწის რესურსთან დაკავშირებით ადამიანის შრომისმოყვარეობის მიმართების შესახებ იობის წიგნში ფასდაუდებელ ცნობებს ვხვდებით, რაც უშუალოდ მიწასთან, ტექნოლოგიების გამოყენებასთან, შრომის დანაწილებასთან არის დაკავშირებული. ადამიანს უფალმა უბოძა მიწა არა მარტო ნაყოფიერებით (როგორც სახნავ–სათესი სავარგული), არამედ მთელი თავისი სიმდიდრით, მადნებით, წიაღისეულით, რომლის გამოყენება შესაძლებელია წარმოების პროცესში, ადამიანის სასიკეთოდ: „ვერცხლს საბადო აქვს და ოქროს ადგილი, სადაც წმენდენ მას. რკინას მიწიდან იღებენ, სპილენძს კი მადნიდან ადნობენ. ზღვარი დაუდო ადამიანმა ბნელს და ქვეყნის კიდემდე ეძებს მადანს წყვდიადსა და ბნელში. გათხარა მაღაროები ხეობაში, შორს, უკაცრიელ, მივიწყებულ ადგილებში. ხოლო მიწა – მისგან აღმოცენდება პური, მისი ქვეშეთი კი ამობრუნებულია, თითქოს ცეცხლისგან. მისი ქვები საფირონის ადგილია და მისი მტვერი ოქროს შემცველია. ადამიანი კაჟზე იწვდის ხელს, მთლიანად აყირავებს მთებს. კლდეებში არხები გაჰყავს და ყოველივე ძვირფასს სჭვრეტს მისი თვალი. მდინარეთა დინებას აკავებს, და დამალული სინათლეზე გამოაქვს.“ (იობ. 28:1–11).

წმინდა წერილი საკუთარი მიწის მომვლელს, ყარიათიან და მეურნე ადამიანს დაუმადლებელ ლუკმაპურს პირდება: „თავისი მიწის მხვნელ-მთესველი მაძღარი იქნება; ამაო საქმეთა მადევარი კი სიღარიბით აივსება“ (იგავ. 28:19). სოლომონ ბრძენი გვმოძღვრავს: „ვინც თავისას ხნავს და თესავს, არ დაიმშევა; უაზრო მიზნების მადევარი კი უგუნურია. უკეთურის წადილია უკეთური ნადავლი; მართალთა ფესვი კი ნაყოფს გამოიღებს.“ (იგავ. 12:11–12)

დიდად მოწყალეა უფალი, მაგრამ როდესაც მეტისმეტად განარისხებს მას ადამიანი, უპირველესად უფლის მცნებების დაუცველობის გამო, განსაცდელებს უვლენს მას. წმინდა წერილიდან მრავალი ასეთი

მაგალითის მოყვანა შეიძლება. მათ შორის აღსანიშნავია განსაცდელები, რომელიც ადამიანის მიწასთან ურთიერთობას უკავშირდება.

წარღვნის შემდეგ უფალმა მინიმუმამდე შეზღუდა რესურსი, თუმცა ახალ თაობას კვლავ მისცა ღვთისკენ მოქცევის შანსი. დავუკვირდეთ იმ გარემოებას, რომ უპირველესად მიწის რესურსი შეზღუდა და ამით თითქმის ყველაფერი შეიზღუდა. მნიშვნელოვანი იყო შედეგი ამ ქმედებისა: ქვეყანა განიწმინდა კაცობრიობის ცოდვებისაგან და მადლიერების ნიშნად ნოემ ღმერთს საკურთხეველი აუგო. წმინდა წერილში ასევე მრავალი მაგალითია იმისა, რომ უფალი მატერიალურს, მათთვის ძვირფასს ართმევს ადამიანებს მათივე სასიკეთოდ, რათა გაეღვიძოთ, დაფიქრდნენ და სულიერი შეიძინონ (ფს. 37:1-2).

უფლის მუქარას იეზეკიელთანაც ვხვდებით: „და უთხარი ამ ქვეყნის ხალხს: ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი იერუსალიმისა და ისრაელის ქვეყნის მკვიდრებზე: თავის პურს ტკივილით შეჭამენ და თავის წყალს ჭირითა და ტანჯვით შესვამენ, რადგან დაცარიელდება მათი ქვეყანა მისი სისავსისაგან მის მცხოვრებთა ძალადობის გამო. დასახლებული ქალაქები დაინგრევა და გაუდაბურდება ქვეყანა; და მიხვდებით, რომ მე ვარ უფალი.“ (ეზ. 12:19–20)

წმინდა წერილი გვასწავლის, არ გადავწიოთ საზღვარი (სამანი), რომელიც წინაპრებმა დააწესეს მიწის – ღვთისგან ბოძებული სიმდიდრის გაყოფისას: „არ გადაწიო შენი მოყვასის მიჯნა, წინაპრებმა რომ დასვეს შენს სამკვიდროში, რომელსაც დაიმკვიდრებ ქვეყანაში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, გაძლევს“. (II რჯ. 19:14)

საზოგადოდ, რესურსების შეზღუდულობა ეკონომიკის, შეიძლება ითქვას, ჩვენი ყოფიერების ძირეული პრობლემაა, საიდანაც ფაქტობრივად, ყველა სხვა პრობლემა გამომდინარეობს. „იშვიათობის“ კონცეფცია რესურსების შეზღუდულობასაც ნიშნავს. ეკონომიკური რესურსები არის წარმოებისათვის აუცილებელი ელემენტები.

ეკონომიკში ძირითადი რესურსის რამდენიმე სახეს გამოყოფენ:

- შრომა, ანუ ადამიანური რესურსი;
- კაპიტალი, ანუ შრომის საშუალებები;
- მიწა, ანუ ბუნებრივი რესურსები;
- სამეწარმეო საქმიანობა (უნარი).

მიწა, ანუ ბუნებრივი რესურსებია ყოველივე, რასაც უფალი უბოძებს, ჩუქნის ადამიანს, ხოლო ეს უკანასკნელი იყენებს მას წარმოებაში — მადნები, წიაღისეული, ნავთობი, ხე-ტყე, წყალი, სახნავ-სათესი სავარგულები, ანუ რესურსების აბსოლუტური უმრავლესობა.

დამაფიქრებელია ერთი გარემოება — ოთხი ძირითადი რესურსიდან (წარმოების ფაქტორიდან): შრომა, მიწა სამეწარმეო უნარი და კაპიტალი) სამი მათგანი სწორედ უფლის უშუალო ქმნილებაა: შრომისა და სამეწარმეო უნარის შემოქმედი — ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა მის სახედ, ხატად და „მიწა“, ანუ ბუნებრივი რესურსების მთელი გამა.


რაც უფრო მცირეა რაოდენობრივად რესურსი, ანუ მეტია შეზღუდულობის ხარისხი, მით მეტია მისი ფასი. იგი ძირითადად მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით ყალიბდება. შეზღუდულობის (დეფიციტის) ზრდას კი უცვლელი მიწოდების პირობებში ფასის ზრდა მოჰყვება (საქონლის დეფიციტი ზრდის ფასს, ფულის დეფიციტი საპროცენტო განაკვეთს, სამუშაო ძალის შეზღუდვა ხელფასს და ა.შ.).

როგორც ცნობილია, ეკონომიკური რენტა არის ფასი, რომელიც გადაიხდევინება მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის, რომელთა რაოდენობა და მარაგები მკაცრად შეზღუდულია.

სწორედ მიწისა და ბუნებრივი რესურსების მიწოდების უნიკალური პირობები — მათი ფიქსირებული რაოდენობა, განასხვავებენ რენტულ გადასახდელებს შრომის ანაზღაურებისაგან, პროცენტებისა და მოგებისაგან.

სადაც უნდა გამოიყენებოდეს მიწა, მისი მიწოდება (S) ყოველთვის აბსოლიტურად ელასტიურია (იხ. ნახ. 1). მიწას არ აქვს წარმოების დანახარჯები — ისინი ხომ ბუნებისაგან „უფასოდ“ ბოძებული სიმდიდრეა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესება სხვადასხვა მეთოდებით შესაძლებელია

მიწაზე მოთხოვნა-მიწოდება და რენტა




ნახაზი 1

(გაწმენდა, დრენაჟი, ირიგაცია), ყოველივე ამას მივყავართ მიწის ხარისხის და არა რაოდენობის ზრდამდე.

საქსტატის ინფორმაციით, საქართველოს 2,6 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა აქვს, თუმცა ამის შესახებ სტატისტიკას არც საქსტატი და არც საჯარო რეესტრი აწარმოებს.

საქართველოს ტერიტორიის დაყოფა სპეციფიურია გამოყენების თვალსაზრისით (იხ. ნახ 2).



ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი ტიტულოვანი ორგანიზაციის მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ მიწის ბაზარი ჯერ კიდევ სუსტია და რადგან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების რეგისტრაციის ცვლილება ძალზე მცირე რაოდენობას – 1%–ს შეადგენს, მორატორიუმის დაწესება ნაადრევი იყო.

ამდენად, გამოდის, რომ ჯერ უნდა მივცეთ სტიმული უცხოელთა მიერ მიწის შესყიდვას, რითაც მიწის ბაზარიც ჩამოყალიბდება (?!) და შემდეგ განვიხილოთ საკითხი მორატორიუმის დაწესების შესახებ. მხოლოდ უცხოელთა მიერ მიწის შესყიდვა განავითარებს მიწის ბაზარს? ამ პროცესის შეუქცევადად, მოუზომავად და თავისუფლად წარმართვა ხომ მნიშვნელოვანი საფრთხეების შემცველია ჩვენი მცირემიწიანი ქვეყნისათვის.

საქართველოს დედაეკლესიის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახაა, რაც საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმაც დააფიქსირა: „საჭიროა ხელისუფლებამ სწრაფად მიიღოს ზომები და ევროპის რიგი ქვეყნების მსგავსად შეიმუშაოს სათანადო რეგულაციები, რათა განეიტრალდეს ფრიად ნეგატიური მოსალოდნელი შედეგები. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ არ უნდა განაპირობოს ყველაზე დიდი მატერიალური სიმდიდრის, ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა და ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მოსამსახურე პერსონალად გადაქცევა. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომელთაც, პირველ რიგში, ეკუთვნით აქაური სიკეთე და დოვლათი, აღარ ჰქონდეს შიდასამეწარმეო რესურსების გამოყენების საშუალება“.

მიგვაჩნია, რომ რაც დრო გადის, მით მეტად იკვეთება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის ყოვლისმომცველი პროგრამის ფორმირების აუცილებლობა.

აუცილებელია ისეთი რეგულაციების მიღება, რომელიც ერთი მხრივ, არ დააბრკოლებს უცხოელ ინვესტორს, ხელს შეუწყობს საქართველოში მის ბიზნეს–საქმიანობას (ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი გააჩნდეს საკუთრებაში მიწა) და მეორე მხრივ, მიწა, როგორც ეროვნული სიმდიდრე შენარჩუნდება და დაცული იქნება მისი ხარისხი. ამავე დროს მიწა უნდა განვიხილოთ, როგორც უმნიშვნელოვანესი რეზერვი და იმედი განსაკუთრებული კატაკლიზმებისას და განსაცდელებისას.

თუკი რესურსების იშვიათობის პრობლემა საზოგადოების მიერ ყველა დონეზე — ინდივიდიდან სახელმწიფომდე, იქნება გასიგრძეგანებული, ეს აიძულებს სახელმწიფოს გაატაროს გონივრული და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა, ხოლო თითოეული ინდივიდი შეეცდება მეტი პასუხისმგებლობით გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები.

ნიკო ჩიხლაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თეოლოგიის დოქტორი, ქუთაისის
უნივერსიტეტის პროფესორი

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. **ჩიხლაძე ნ.,** მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. აკ. წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი, 2013.

2. **ჩიხლაძე ნ.,** რესურსების შეზღუდულობა მართლმადიდებლური და ეკონომიკური სწავლებების მიხედვით. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №1, 2011.

3. **კოღუაშვილი პ.,** ქრისტე ვენახია. მეხუთე სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ შრომათა კრებული. თსუ, თბ., „უნივერსალი“, 2010. გვ. 79-90.

4. **Кандалинцев В.**, Бизнес во Христе. Эльверсия, www.sobor.vinchi.ru

5. **Лукин С.** Книга бытия о разделении труда. журн. „Проблемы современной экономики“, 2004, №1

6. **Макконнелл К., Брю С.,** Экономикс. М., II ч. Инфра-М, 2000.

7. http://bhoga.ru/uspekh-v-biznese-protestantskaya-trudovaya-etika-ekonomicheskii-kodeks-biblii

8. http://beloikonomos.blogspot.com/p/blog-page-7351.html

9. http://www.imperativ.narod.ru/bib/bibl-ec1.html

10. http://holybible.ge/index.php

11. http://www.tabula.ge/ge/story/85245-ilia-ii-ucxoelebze-mitsebis-gasxviseba-dartkmis-tsinashe-daakenebs-saxelmtsifos

12. http://www.transparency.ge/blog/moratoriumi-mitsis-gaqidvaze-mskhvili-utskhoeli-permerebis-istoriebi?page=3

13. www.geostat.ge